# სტუდენტთა უფლებები, მოვალეობები და სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები

## შინაარსი

*მუხლი 1. რეგულირების სფერო* ..... 3

*მუხლი 2. სამართლებრივი საფუძველი* ..... 3

*მუხლი 3. სტუდენტის უფლებები* ..... 3

*მუხლი 4. სტუდენტის მოვალეობები* ..... 4

*მუხლი 5. სტუდენტთა უფლებების დაცვის კომიტეტი* ..... 5

*მუხლი 6. გასაჩივრების პროცედურა* ..... 6

*მუხლი 7. დასკვნითი დებულებები* ..... 7

## მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს რეგულაცია განსაზღვრავს ვებსტერ უნივერსიტეტი, ინკ.-ის ფილიალი საქართველოში (შემდგომში - ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისი) სტუდენტების უფლებებსა და მოვალეობებს და ადგენს მათი განხორციელებისა და დაცვის მექანიზმებს.

2. ეს რეგულაცია ვრცელდება ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ ყველა სტუდენტზე, მიუხედავად სწავლების რეჟიმისა, ეროვნებისა ან დაფინანსების წყაროსი.

## მუხლი 2. სამართლებრივი საფუძველი

1. ეს რეგულაცია შემუშავებულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, კანონქვემდებარე აქტების და ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

2. სტუდენტურ ცხოვრებასთან, მაშ შორის, სტუდენტების უფლებებთან და მოვალეობებთან საკითხებზე აგრეთვე აწესრიგებს ვებსტერ უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელმძღვანელო (https://www.webster.edu/student-handbook/index.php).

## მუხლი 3. სტუდენტის უფლებები

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის სტუდენტს უფლება აქვს:

1.1 მიიღოს ხარისხიანი განათლება, რომელიც შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს და ვებსტერ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკას;

1.2 მონაწილეობა მიიღოს ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის სამეცნიერო, შემოქმედებით და ინოვაციურ კვლევით საქმიანობაში;

1.3 თანასწორი პირობებით ისარგებლოს ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის მატერიალურ-ტექნიკური, ბიბლიოთეკის, საინფორმაციო და სხვა რესურსებით შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად;

1.4 აირჩიოს წარმომადგენელი სტუდენტურ თვითმმართველობაში და მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში, აგრეთვე, დადგენილი წესების შესაბამისად, წარუდგინოს რეკომენდაციები ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის ადმინისტრაციას და მართვის ორგანოებს;

1.5 თავისუფლად შექმნას ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში პირადი ინტერესების შესაბამისად;

1.6 თავისუფლად გამოხატოს მოსაზრებები და გონივრულად უარი თქვას სასწავლო პროცესში შემოთავაზებული იდეების გაზიარებაზე, იმ პირობით, რომ ეს არ არღვევს სხვათა უფლებებს ან აკადემიურ პროცესს;

1.7 სწავლების მეორე წლიდან ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს საქართველოში სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონმდებლობისა და მიმღები დაწესებულების წესდების შესაბამისად;

1.8 მიიღოს სტიპენდიები, ფინანსური ან მატერიალური დახმარება და სხვა შეღავათები სახელმწიფოსგან, ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისისგან ან სხვა წყაროებიდან, საქართველოს კანონმდებლობისა და ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად;

1.9 აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;

1.10 პერიოდულად შეაფასოს აკადემიური პერსონალის მუშაობა დადგენილი პროცედურების შესაბამისად;

1.11 განახორციელოს ყველა სხვა უფლება, რომელიც მას მინიჭებული აქვს კანონმდებლობით და შიდა სამართლებრივი აქტებით.

## მუხლი 4. სტუდენტის მოვალეობები

1. ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის სტუდენტი ვალდებულია:

1.1 პატივი სცეს სხვა სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და თანამშრომლების უფლებებსა და თავისუფლებებს;

1.2 დაიცვას ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის უნივერსიტეტის წესდება, ეს რეგულაცია, ეთიკისა და ქცევის მარეგულირებელი, აგრეთვე, სხვა, ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის მართვის ორგანოების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები;

1.3 შეასრულოს აკადემიური ვალდებულებები, მათ შორის, დაესწროს ლექციებს, შეასრულოს დავალებები და დაიცვას სასწავლო კურსის/შეფასების მოთხოვნები;

1.4 პასუხისმგებლობით გამოიყენოს და არ დააზიანოს ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის ქონება და რესურსები;

1.5 ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის ტერიტორიაზე შეასრულოს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნები;

1.6 არ დაუშვას დისკრიმინაცია, შევიწროება ან ძალადობის ნებისმიერი ფორმა;

1.7 დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით გადაიხადოს სწავლის საფასური და სხვა სავალდებულო გადასახადები;

1.8 აკადემიური ჩანაწერების ან ოფიციალური კომუნიკაციისთვის შესაბამისი პერსონალური ინფორმაციის ნებისმიერი ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებოს ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის ადმინისტრაციას;

1.9 ითანამშრომლოს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, მონაწილეობა მიიღოს რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებში.

## მუხლი 5. სტუდენტთა უფლებების დაცვის კომიტეტი

1. სტუდენტების უფლებების სავარაუდო დარღვევები განიხილება სტუდენტთა უფლებების დაცვის კომიტეტის მიერ.

2. სტუდენტთა უფლებების დაცვის კომიტეტის შემადგენლობას განსაზღვრავს ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის რექტორი.

## მუხლი 6. გასაჩივრების პროცედურა

1. ყველა სტუდენტს აქვს უფლება გაასაჩივროს ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის მართვის ორგანოს, ადმინისტრაციის თანამშრომლის თუ სხვა პირის გადაწყვეტილება, რომელიც გავლენას ახდენს მის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებზე.

2. სტუდენტმა საჩივარი უნდა წარადგინოს სტუდენტთა უფლებების დაცვის კომიტეტში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან/გაცნობიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3. საჩივარში უნდა მიეთითოს გადაწყვეტილება, რომელსაც ასაჩივრებს სტუდენტი, საჩივრის წარდგენის საფუძვლები, მოთხოვნა, მოთხოვნის დასაბუთება და მტკიცებულებები.

4. საჩივრის წარდგენის საფუძვლებია:

4.1 პროცედურული შეცდომა, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სტუდენტის უფლებებზე;

4.2 არაპროპორციული ან უსამართლო სანქცია/გადაწყვეტილება;

4.3 საქართველოს კანონმდებლობის, ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის წესდების, შიდა სამართლებრივი აქტების ან წინამდებარე რეგულაციის დარღვევა.

5. სტუდენტთა უფლებების კომიტეტი 5 დღის განმავლობაში განიხილავს საჩივრის ფორმალურ შესაბამისობას ამ რეგულაციის მოთხოვნებთან. თუ საჩივარი არ არის წარდგენილი ამ რეგულაციით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სტუდენტთა უფლებების დაცვის კომიტეტი სტუდენტს განუსაზღვრავს არაუმეტეს 10 დღის ვადას შესაბამისი ხარვეზის გამოსასწორებლად. ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სტუდენტთა უფლებების დაცვის კომიტეტი განუხილველად ტოვებს საჩივარს.

6. საჩივრის განსახილველად მიღების შემთხვევაში, სტუდენტთა უფლებების დაცვის კომიტეტი საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ერთი თვის ვადაში.

7. სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

## მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. ეს რეგულაცია ძალაშია მისი დამტკიცებისთანავე.
2. ამ რეგულაციაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვებსტერ უნივერსიტეტი თბილისის შიდა რეგულაციების შესაბამისად.

Jean Paul Louis Van Marissing

Rector

Webster University